სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში შესასრულებელი პროექტის - "საქართველოს საზღვრები", ერთ-ერთი მიმართულების - "ქართველი ხალხის ეთნო-კულტურული ურთიერთობები მოსაზღვრე კავკასიის ხალხებთან და მოსახლეობის ანთროპოლოგიური დახასიათება", 2023 წლის თემატიკით განსაზღვრულია თემის: "ქართველი ხალხის ეთნო-კულტურული ურთიერთობები სომხებთან," შესრულება. კვლევითი სამუშაოების ჩასატარებლად, 2023 წლის 1 აგვისტოდან 8 აგვისტოს ჩათვლით მეცნიერთა ჯგუფი, კერძოდ: კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების (განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მ/თ **როლანდ თოფჩიშვილი;** მთავარი მეცნიერი თანამშრომლები: **სალომე ოქრუაშვილი, ლავრენტი ჯანიაშვილი**; უფროსი მეცნიერი თანამშრომლები: **ნათია ჯალაბაძე, ირმა კვაშილავა** და მეცნიერი თანამშრომელი **გიორგი ავთანდილაშვილი**) თანამშრომლები იმყოფებოდნენ ექსპედიციაში ჯავახეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში - ასპინძის მუნიციპალიტეტში. საველე-ეთნოგრაფიული სამუშაოები ჩატარდა სოფლებში: აწყვიტა, ხიზაბავრა, ნაქალაქევი, სარო, ჭობარეთი, ხერთვისი, თმოგვი, ვარგავი, ტოლოში. მოპოვებული მასალა დამუშავდება და გამოყენებული იქნება წლიურ ნაშრომებში:

1. ***როლანდ თოფჩიშვილმა*** მასალა შეაგროვა ეთნიკური ურთიერთობებისა და მიგრაციის პრობლემებზე, ჯავახეთის სომხურ მოსახლეობასთან ურთიერთობის შესახებ.

2. ***ლავრენტი ჯანიაშვილის*** საკვლევ თემას წარმოადგენს ქართულ-სომხური ურთიერთობები სამეურნეო სფეროში. მან შეკრიბა ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც ძირითადად, მესაქონლეობის სფეროთი შემოიფარგლება.

3. ***სალომე ოქრუაშვილმა*** ეთნოგრაფიული მასალა ქართველთა და სომეხთა სოციალური ურთიერთობის პრობლემებზე შეაგროვა: საოჯახო ყოფა, გვარების დანაყოფები, საქორწინო ტრადიციები.

4. ***ნათია ჯალაბაძის*** საკვლევი თემა არის საზღვრის საკითხი ფოლკლორში, ქართულ-სომხური ურთიერთობების ასახვა ზეპირსიტყვიერებაში.

5. ***ირმა კვაშილავას*** საკვლევი თემატიკა არის სომხებთან ურთიერთობა სულიერი კულტურის სფეროში.

6. ***გიორგი ავთანდილაშვილის*** გეგმიური სამუშაო ქართველთა და სომეხთა ურთიერთობას მოიცავს მატერიალური კულტურის სფეროში. მან ამ პრობლემაზე შეაგროვა მონაცემები.